თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომის

ოქმი № 2

ქ. თერჯოლა 31.01.2023 წელი

სხდომას უძღვებოდა: კომისიის თავმჯდომარე თემურ ქოჩიაშვილი

სხდომას ესწრებოდნენ: 1. თემურ ქოჩიაშვილი, 2. დავით გოგბრეაშვილი, 3. გოჩა ვერულაშვილი, 4. გიორგი ბარათაშვილი, 5. მანუჩარ ფანჩულიძე, 6. როლანდი მესხი, 7. ფრიდონ გვენეტაძე, 8. ნინო მახათაძე, 9. გრიგოლ გიორგაძე, 10. რამინი რობაქიძე.

სხდომას არ ესწრებოდნენ: 1. კობა კირკიტაძე.

კომისიის შემადგენლობა: 11 წევრი
დამსწრე წევრთა რაოდენობა : 10 წევრი
კვორუმი: 6 წევრი

დღის წესრიგი:

1. ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 20 დეკემბრის №27 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის მ/შემსრულებლის წერილი № 28-2823030115, 30.01.2023 წ.).

მომხს.: თ ქოჩიაშვილი

2. ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შემოსულობებსა და გადასახდელებში ასახვის შესახებ" ინფორმაცია (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის მ/შემსრულებლის წერილი № 28-282302516 , 25/01/2023).

მომხს. : თ. ქოჩიაშვილი

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 10 , წინააღმდეგი - 0

დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

1.

მოისმინეს: მომხსენებელმა, თემურ ქოჩიაშვილმა კომისიის წევრებს გააცნო ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 20 დეკემბრის N 27 დადგენილებაში ცვლილების

შეტანის თაობაზე დადგენილების პროექტი - 2023 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის ცვლილება გამოიწვია ხარჯვითი ნაწილის კორექტირებამ.

ბიუჯეტის მთლიანი მოცულობა არ შეცვლილა და შეადგენს 26731.5 ათას ლარს.

ხარჯვითი ნაწილი შემცირდა 125.0 ათასი ლარით. მერიის დაფინანსება შემცირდა 125.0 ათასი ლარით.

ხარჯვითი ნაწილი გაიზარდა 125.0 ათასი ლარით. გზების კეთილმოწყობა გაიზარდა - 125.0 ათასი ლარით.

აზრი გამოთქვეს: დავით გოგბერაშვილმა.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 8, წინააღმდეგი - 2

გადაწყვიტეს: მოწონებულ იქნას ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 20 დეკემბრის №27 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დადგენილების პროექტი და საკითხი განსახილველად გავიდეს საკრებულოს ბიუროს სხდომაზე.

2.

მოისმინეს: მომხსენებელმა, თემურ ქოჩიაშვილმა კომისიის წევრებს გააცნო ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შემოსულობებსა და გადასახდელებში ასახვის შესახებ" ინფორმაცია.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 8, წინააღმდეგი - 2

გადაწყვიტეს: მოწონებულ იქნას ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შემოსულობებსა და გადასახდელებში ასახვის შესახებ" ინფორმაცია და საკითხი განსახილველად გავიდეს საკრებულოს ბიუროს სხდომაზე.

კომისიის თავმჯდომარე

თემურ ქოჩიაშვილი